ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №19

28 ივნისი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

წევრები- ლევან დავითაშვილი,ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, აკაკი ალადაშვილი, დავით ფარცვანია.

სხდომა თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური -ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტო-თამარ ბიწაძე

სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(საკრ.№15-03221742-03; 11-01221733615 23.06.2022წ)

2. „ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. N8-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.17.010.039) და 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.17.010.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ესპრესო ჯორჯიასთვის" (ს/კ: 205083416) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.(საკრ.№12-03221612-03 10.06.2022)

3. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N188 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. (საკრ.№12-032216630-03 15.06.2022)

4. ქ. თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა N5-ის მიმდებარედ 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.009.039) პირდაპირი განკარგვის წესით ალექსანდრე შონიასთვის (პ/ნ: 01008011139) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე(საკრ.№12-032216855-03 17.06.2022)

5. ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 28 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯონდო ნაყოფიასთვის (პ/ნ: 01011077366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე(საკრ.№12-032216855-03 17.06.2022)

6. ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის" (ს/ნ: 203842333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-032216855-03 17.06.2022

8. ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩაზე, კორპუს ,,3''-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.016.009.01.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (საკრ.№12-032216657-03 15.06.2022)
9. ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.011.01.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(საკრ.№12-032216657-03 15.06.2022)
10. ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N67დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.06.002.018.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (საკრ.№12-032216657-03 15.06.2022)
11. ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.040.004.06.500 და N01.12.12.040.004.06.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(საკრ.№12-032216657-03 15.06.2022)
12. ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე(საკრ.№12-032217445-03;12-032217444-03 24.06.2022)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

კვარტალური ცვლილება კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.

როგორც მან განმარტა, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, ქვეპროგრამაში „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება" (პროგრამული კოდი: 06 02 02) მესამე კვარტალს ემატება 35000 ლარი.თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან, დაბალანსება ნაშთის ცვლილებით.

აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა დაგეგმილზე მეტი რაოდენობის დაფიქსირებით გამოწვეული საჭიროებიდან გამომდინარე.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური ითხოვს, მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას , ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა თამარ ბიწაძემ.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. N8-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.17.010.039) და 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.17.010.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ესპრესო ჯორჯიასთვის" (ს/კ: 205083416) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

თამარ ბიწაძის მოხსენებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 25.08.15წ. N34.19.1013 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17.09.15წ.N353 განკარგულების საფუძველზე გამოცემული სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 25.09.15წ. N01-4/38 ბრძანებით , შპს „ესპრესო ჯორჯიას" (ს/კ: 205083416) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით გადაეცა ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. N8-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.10.17.010.035), ღია საზაფხულო კაფეს განთავსების მიზნით.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანიის წარმომადგენელმა განცხადებებით მომართა სააგენტოს და ითხოვა აღნიშნულ იჯარაში ცვლილების შეტანა, ღია კაფეს ტერიტორიის ფართობის გაზრდის მიზნით. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ კომპანიას მომზადებული აქვს მომატებული ფართობის ღია კაფეს პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია ბევრად მსუბუქი და ჰაეროვანი საჩრდილობლებლების მოწყობა, რომლებიც ბევრად ორგანულად ჯდება ქუჩის არსებულ განაშენიანებაში და არ დაარღვევს მის იერ-სახეს. განმცხადებელი ასევე აღნიშნავს, რომ გათვალისწინებულია ყველა დადგენილი ნორმა და არ შეიზღუდება გამზირზე ქვეითთა გადაადგილება.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 19 მაისის N003190922 ექსპერტიზის დასკვნით, ღია კაფეს მოწყობის მიზნობრიობით შეფასდა 01.10.17.010.039 და 01.10.17.010.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული 2 კვ.მ. და 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთები და მათი წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2022 წლის 18 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა შესაბამისად - 360 ლარის და 900 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება 2 კვ.მ. და 5 კვ.მ. ნაკვეთების (ს/კ: 01.10.17.010.039; 01.10.17.010.042) კომპანიისთვის დამატებით იჯარით გადაცემის საკითხი, საერთო წლიური საიჯარო ქირით - 1260 ლარის იდენობით, 2025 წლის 8 ოქტომბრამდე ვადით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 25.09.15წ. N01-4/38 ბრძანებით (კომპანიის მხრიდან 2015 წლის 8 ოქტომბერს გაცნობისთანავე გათანაბრებულ ხელშეკრულებაში) კომპანიისთვის იჯარით გადაცემულ 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.17.010.035) ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N188 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

თამარ ბიწაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 4 მაისის N22.657.707 და „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N188 განკარგულებების საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2, სართული 7, ბინა N21-ში მდებარე 80.77 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.021) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე დემეტრე ფაშტიანის (პ/ნ: 59001013434) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, თუმცა ვაკის რაიონის გამგეობის 2021 წლის 20 სექტემბრის და 2022 წლის 7 ივნისის წერილებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოქალაქე დემეტრე ფაშტიანი (პ/ნ: 59001013434) უარს აცხადებს რაიმე სახის მოთხოვნაზე სახელმწიფოს/თვითმმართველი ერთეულისგან შემდგომში დაკმაყოფილების მოთხოვნის თაობაზე. ამასთან, მზაობას გამოთქვამს ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2, სართული 7, ბინა N21-ში მდებარე 80.77 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი:

N01.14.06.008.083.01.021) საკუთრებაში გადაეცეს თავის შვილს - მოქალაქე ნინო ფაშტიანს (პ/ნ: 01008058152).

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 28 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯონდო ნაყოფიასთვის (პ/ნ: 01011077366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

თამარ ბიწაძის მოხსენებით, ჯონდო ნაყოფიამ (პ/ნ: 01011077366) განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 28 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, ჯონდო ნაყოფიას საკუთრებაშია ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩა N3-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.006.03.511) უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. მათი პოზიციით საკითხს მიეცა დადებითი შეფასება შემდეგი რეკომენდაციით: განთავსდეს მაგიდები და სკამები მხოლოდ ერთ რიგად რომ არ შეფერხდეს ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 1 ივნისის ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2022 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 6 720 ლარით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის" (ს/ნ: 203842333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თამარ ბიწაძის მოხსენებით, შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროების" (ს/ნ: 203842333) წარმომადგენლმა გოჩა გოგიშვილმა (პ/ნ: 01026006052) განცხადებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.042) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროების" საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ში მდებარე 3089 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 16653 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.004).

მომხსენებლის განმარტებით,მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. სააგენტოს წარედგინა აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად, ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს

მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ დოკუმენტი N5941448 (ოქმი N16; 19.05.2022წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.042) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

თამარ ბიწაძემ აღნიშნა, რომ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 1 ივნისის ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2022 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 32 160 ლარით.

კომისიის წევრებმა სთხოვეს მომხსენებლს, ღია კაფის განთავსების გეგმა- ესკიზის ფოტომასალის ჩვენება, რაც მომხსენებელმა ტექნიკური ხასიათის მიზეზის გამო, სხდომის პერიოდში ვერ წარმოადგინა.
კომისიის წევრებმა მიმართეს სხდომის თავმჯდომარეს, საკითხის გადადება დროებით, მომდევნო კომისიის სხდომისათვის და ამავე დროს სთხოვეს მომხსენებელს ღია კაფეს ესკიზის ფოტომასალის წარმოდგენა მომავალი კომისიის სხდომისათვის.
კენჭსიყაზე დადგა საკითხი, აღნიშნული საკითხი გადაიდოს კომისიის მომდევნო სხდომამდე.
მომხრე- 6
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.041) და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი N4-ის მიმდებარედ 98 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის" (ს/ნ: 203842333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" გადაიდოს კომისიის მომდევნო სხდომაისათვის.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუშის ქუჩის მე-2 ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.009.02.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "
თამარ ბიწაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნუშის მე-2 ჩიხი N2-ში, პირველ სართულზე მდებარე 68.74 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.009.02.505), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მაკა თევზაძეს (პ/ნ 14001007575), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით და მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ მაკა თევზაძე ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2011 წლიდან.
მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩაზე, კორპუს ,,3''-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.016.009.01.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

თამარ ბიწაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა, კორპუს „3"-ში, მდებარე 29.00 კვ.მ ფართის ბინა N53-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.23.016.009.01.053) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნინო ასაბაშვილს (პ/ნ 01016007428) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეები ჩვენებით დგინდება, რომ ნინო ასაბაშვილი 2002 წლიდან ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.011.01.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

თამარ ბიწაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში აეროპორტის დასახლებაში, კორპუს N1-ში, მეორე სართულზე მდებარე 16.44 კვ.მ ფართის ბინა N33-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.011.01.033) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ეთერი ცისკარიშვილს (პ/ნ 01001047539), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ეთერი ცისკარიშვილი 1990 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;

როგორ მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ინფორმაციის მიხედვით, ეთერი ცისკარიშვილის საკუთრებაში ერიცხება აეროპორტის დასახლებაში, კორპუს N1-ში, 3.96 კვ.მ ფართობის დამხმარე ფართი საკადასტრო კოდით: N01.19.25.009.011.01.526);

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N67დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.06.002.018.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

თამარ ბიწაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N67დ-ში, პირველ სართულზე მდებარე 34.26 კვ.მ ფართის ბინა N10-ი (საკადასტრო კოდი: N01.12.06.002.018.01.010), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თამარ ტარიელაშვილს (პ/ნ 01022013167) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს ცნობით დგინდება, რომ თამარ ტარიელაშვილი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 10 წელია;

ნოტარიულად დამოწმებული 2022 წლის 28 მარტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გალი"-ს კრების ოქმი N3-ით დასტურდება, რომ თამარ ტარიელაშვილი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2004 წლიდან.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.040.004.06.500 და N01.12.12.040.004.06.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

თამარ ბიწაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში, პირველ სართულზე მდებარე 15.20 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 01.12.12.040.004.06.500) და მეორე სართულზე მდებარე 14.13 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 01.12.12.040.004.06.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლევანი მელაძეს (პ/ნ 01036003662) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული 2020 წლის 15 ოქტომრბის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცოტნე დადიანის 2" კრების ოქმით დასტურდება, რომ ნოდარი მელაძე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1995-1996 წლიდან.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

თამარ ბიწაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებით,საკუთრებაში გადაეცემე 8 პირს(ოჯახს), რომლებიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ ამ ფართებით. საერთო ჯამში 8 პირს(ოჯახს) გადაეცემა ჯამში 537,99 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**